საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - მეხუთე კომპონენტის ფარგლებში **მონიტორინგის ექსპერტის შერჩევის მიზნით**

კონკურსი ცხადდება **2016 წლის 10 ნოემბერს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადა - 2016 წლის 14 ნომებრამდე.**

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„მონიტორინგის ექსპერტი“,** წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა - 1;

კონკურსის შედეგად, მონიტორინგის ექსპერტის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები **2016 წლის 30 დეკემბრის** ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე;

შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში ანაზღაურება შეადგენს **3139 ლარს;**

ანაზღაურება მოხდება **2 ეტაპად,** შესრულებილი სამუშაოს წარმოდგენის შედეგად, შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ექსპერტის თანამდებობის მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;

ბ) პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე მუშაობის გამოცდილება;

გ) მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის გამოცდილება;

დ) კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება.

მონიტორინგის ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

1. მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების განსაზღვრა საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის პილოტირებისათვის, რაც გულისხმობს:

ა) დოკუმენტის მომზადებას, რომელიც ასახავს პილოტირების მონიტორინგის მიზანსა და მეთოდოლოგიას;

ბ) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის მიმდინარეობის (პროცესის) მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნას.

2. საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის პილოტირების მონიტორინგის გეგმის შემუშავება.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, აუცილებლად უნდა ატვირთოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (C.V.) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.